N 01-03/18
13.10.2023

18-0-4-202310131514

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის 2023-2024 სასწავლო წლისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შედგენილი რეიტინგული სიების დამტკიცების შესახებ

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის წესდებითა და ლიცეუმის დირექტორის თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ლიცეუმის მმართველი საბჭოს მიერ 2023 წლის 28 თებერვლის N1 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიციებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების“ მე-8 მუხლის მე-7 პუნქტისა და ლიცეუმის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის 2023 წლის 12 ოქტომბრის №01-17/138 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შედგენილი რეიტინგული სია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემბანის რიგითი მეზღვაურებისთვის დანართი N1-ის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შედგენილი რეიტინგული სია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია-გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურებისთვის დანართი N2-ის შესაბამისად;

3. დამტკიცდეს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შედგენილი რეიტინგული სია საბაზო პროფესიული საგანმანალებლო პროგრამა - ელექტროობისათვის, დანართი N3-ის შესაბამისად;

4. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული რეიტინგული სიები, პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე, განთავსდეს ლიცეუმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

5. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული დებულებების კონტროლი დაევალოს ლიცეუმის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს;

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ლალი ხვედელიძე

ლიცეუმის დირექტორი

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი